

შპს „წყალტუბო პლაზა“-ს

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „წყალტუბო პლაზა“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს წყალტუბო პლაზა			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	შენიშვნა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8260	20577	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	76354	63727	3.2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	2014	5822	
მარაგები	44641	37691	3.3
მზა პროდუქცია	0	0	
სხვა	44641	37691	
საინვესტიციო ქონება	0	0	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	7924	6580	
ბიოლოგიური აქტივები	0	0	
თვითღირებულების მოდელით	0	0	
გადაფასების მოდელით	0	0	
გუდვილი	0	0	
სხვა არამატერიალური აქტივები	48946	52089	3.4
ძირითადი საშუალებები	6301132	6389230	3.5
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	
სულ აქტივები	6489271	6575716	
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	
სავაჭრო ვალდებულებები	133393	80799	3.6
ანარიცხები	0	0	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	908	2873	
საგადასახადო ვალდებულებები	26612	39223	3.7
გამომუშავებული შემოსავალი	15296	4686	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	4630843	5694811	3.8
მიღებული გრანტები	0	0	
სხვა ვალდებულებები	0	0	
სულ ვალდებულებები	4807052	5822392	
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპ	9130046	8042864	3.9
საემისიო შემოსავალი	0	0	
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-7447827	-7289540	
გადაფასების რეზერვი	0	0	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	
სულ საკუთარი კაპიტალი	1682219	753324	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6489271	6575716	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2023 წ.			
დირექტორი _____	ირმა კალანდაძე		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი			

შპს „წყალტუბო პლაზა“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს წყალტუბო პლაზა			
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	1973828	1741130	3.10
საქონლის გაყიდვიდან	0	0	
მომსახურების გაწევიდან	1973828	1741130	
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0	
სხვა	0	0	
გაყიდვების თვითღირებულება	0	0	
საწყისი მარაგები	0	0	
მარაგების შესყიდვა	0	0	
გადამუშავების დანახარჯები	0	0	
საბოლოო მარაგები	0	0	
საერთო მოგება	1973828	1741130	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	70142	354	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-832115	-557148	
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-337301	-315556	
საპროცენტო შემოსავალი	708	472	
საპროცენტო ხარჯი	-359529	-538426	3.11
იჯარის ხარჯი	0	0	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1309011	-836109	3.12
სულ საოპერაციო ხარჯები	-2767106	-2246413	
საოპერაციო მოგება	-793278	-505283	
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრ	694912	317251	
მიღებული დივიდენდები	0	0	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-59805	36027	
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-158171	-152005	
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-158171	-152005	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0	
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასე	0	0	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0	
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-158171	-152005	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	753324	417167	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხ	1087182	519011	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-116	-30849	3.13
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1682219	753324	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2023 წ.			
დირექტორი _____	ირმა კალანდაძე		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი			

შპს „წყალტუბო პლაზა“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს წყალტუბო პლაზა		
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება		
		ერთეული: 1 GE
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრების ცვლილება	-45569	335595
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრების ცვლილება	-326852	-65592
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრების ცვლილება	361068	-302590
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-11353	-32587
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-964	-199
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	20577	53363
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	8260	20577
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2023 წ.		
დირექტორი _____	ირმა კალანდაძე	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი		

2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „წყალტუბო პლაზა“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2013 წლის 10 ოქტომბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 421269512, იურიდიული მისამართი - საქართველო, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N 15ა. ფაქტობრივი მისამართი ემთხვევა იურიდიულ მისამართს. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს „პარკ ჰოტელი“ (ს/კ 405030327), რომლის 100%-იანი წილის მფლობელია ფ/პ მარიკა უგრეხელიძე (პ/ნ 62001021373).

1.3. წინამდებარე ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის კომპანიის დირექტორია ფ/პ ირმა კალანდაძე (პ/ნ 61002007210), ხოლო 2022 წლის 31 დეკემბერს კომპანიის დირექტორი იყო ფ/პ გიორგი მურჯიკნელი (პ/ნ 05001010300). კომპანიის დირექტორის ცვლილება განხორციელდა 2023 წლის 15 მაისს.

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სასტუმრო მომსახურება.

კომპანიის დამატებით (არაძირითად) ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

კომპანია ძირითად საქმიანობას ანხორციელებს ერთ ლოკაციაზე - საქართველო, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N 15ა.

1.5. კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიის დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა 72 ადამიანს. ბუღალტრულ აღრიცხვას ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს მომსახურე აუდიტური ფირმა.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას

პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება

არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის

გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის

ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4-8 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 8-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;

იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

ე) შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით

რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2022 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი;

1 EUR=2.8844 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2022 წელს: 1 USD=2.9156 ლარი; 1 EUR=3.0792 ლარი.

2021 წელს: 1 USD=3.22 ლარი; 1 EUR=3.8124 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	1531	4781
ლარი საბანკო ანგარიშებზე	6577	10701
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	0	2494
ევროები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	0	2588
ტერმინალით გადახდისას მიღებული ფული	152	14
სულ:	8260	20577

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
მომსახურებიდან მოთხოვნები ლარში	12137	23553
მომსახურებიდან მოთხოვნები ევროში	9051	20437
მომსახურებიდან მოთხოვნები აშშ დოლარში	55166	19736
სულ:	76354	63727

მოთხოვნები წარმოქმნილია სასტუმრო მომსახურების გაწევიდან ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ. 2022 წლის ბოლოსათვის, კომპანიას არ აქვს გაუფასურებული დებიტორული მოთხოვნები.

3.3. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
საქონელი	21655	13443
საწვავ-საცხები მასალები	935	1177
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	22051	23071
სულ:	44641	37692

სხვა მატერიალური ფასეულობები შედგება სასტუმროს დასუფთავების დეპარტამენტის მიერ გასახარჯი საქონლისაგან.

3.4. არამატერიალური აქტივები:

კომპანიის არამატერიალური აქტივები შედგება საბუღალტრო პროგრამისაგან, სასტუმროს ფუნქციონირებისათვის საჭირო სპეციალური პროგრამებისაგან და შესაბამისი პროგრამული მოდულებისაგან.

3.5. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	2022 წელი ზრდა ან შემცირება	2022 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
მიწის ნაკვეთები	274377	0	0	274377
დაუმთავრებელი მშენებლობა		-398309		398309
შენობები	4908063	0	160554	5068616
ნაგებობები	388352	398309	9958	
ელექტრონული და მექანიკური მოწყობილობები, გათბობის სისტემა, დიზელ-გენერატორები	478745	183313	81296	376727
კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები, ელექტრონული აპარატურა	35136	25374	8478	18240
ავტო	118364	5657	46502	159208
ინვენტარი	42581	24825	12085	29841
მსუბუქი ავტომობილები	29428	0	5555	34983
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	11402	-305	9267	20974
მცენარეები (ეზოს გამწვანება)	14686	7196	464	7954
სულ:	6301132	246060	334158	6389230

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2022 წლის ბოლოს - 2837094 ლარს,

2021 წლის ბოლოს - 2535817 ლარს.

3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	133393	80799
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	0	0
სულ:	133393	80799

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები შედგება რეზიდენტი პირებისადმი საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი დავალიანებებისაგან ეროვნულ ვალუტაში.

3.7. საგადასახადო ვალდებულებები:

კომპანიის საგადასახადო ვალდებულება 31.12.2022-ის მდგომარეობით ფაქტობრივად შედგება კომპანიის მიერ წარდგენილი 2022 წლის დეკემბრის თვის საგადასახადო დეკლარაციებით (დღგ, საშემოსავლო) დარიცხული თანხებისაგან. ანგარიშგების წარდგენის მომენტში კომპანიას დაფარული (გადახდილი) აქვს აღნიშნული თანხები სრულად.

3.8. გრძელვადიანი სესხები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
სესხები ლარებში	9755	12457
სესხები აშშ დოლარებში	4621088	5682354
სულ:	4630843	5694811

კომპანიის გრძელვადიანი სესხები, როგორც ლარში ასევე აშშ დოლარში, ფაქტობრივად შედგება სს „საქართველოს ბანკისაგან“ მიღებული სესხისაგან.

3.9. საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის კაპიტალი მისი დაფუძნებისას განისაზღვრა 200 ლარის ოდენობით. 2015 წელს კომპანიის 100%-იანი წლის მფლობელმა (რომელიც, მაშინ იყო შპს „მგ კომპანია“) მოახდინა კომპანიის კაპიტალის გაზრდა და 2015 წელსვე მოახდინა კომპანიის გაზრდილი კაპიტალის შევსება ქონებით (ქონების ღირებულება, კაპიტალში შეტანისას, შეფასებული იქნა მოწვეული ექსპერტ-შემფასებლის მიერ).

2021 წლის ოქტომბრის თვეში შპს „მგ კომპანია“ კიდევ ერთხელ მოახდინა კომპანიის კაპიტალის გაზრდა და ამ შემთხვევაშიც, გაზრდილი კაპიტალის შევსება მოახდინა ქონებით.

ხოლო, 2021 წლის ნოემბრის თვეში შპს „მგ კომპანია“ გაყიდა კომპანიის 100% წილი და მიჰყიდა შპს „პარკ ჰოტელს“ (ს/კ 405030327).

2022 წელს კი შპს „პარკ ჰოტელმა“ (ს/კ 405030327) მოახდინა კომპანიის კაპიტალის გაზრდა 1087182 ლარით.

3.10. ნეტო ამონაგები:

2022 წელს კომპანიის ამონაგები მთლიანად შედგებოდა სასტუმრო მომსახურებით მიღებული შემოსავლებისაგან.

3.11. საპროცენტო ხარჯები:

2022 წელს კომპანიის საპროცენტო ხარჯები ფაქტობრივად შედგებოდა სს „საქართველოს ბანკისაგან“ აღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტებისაგან.

3.12. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

დასახელება	2022 წელი	2021 წელი
ძირითადი მასალების დანახარჯები / შეძენა (საკვები პროდუქტები და სასმელები)	390124.4	273655.46
სასტუმროს დასუფთავების მასალების დანახარჯები / შეძენა	43786.83	43887.92
სამეურნეო და ტექნიკური საქონლის ხარჯები	60000.27	25694.14
სამზარეულოსა და ბარის ხარჯები	20622.19	9477.13
საკანცელარიო და საოფისე საქონლის ხარჯი	9602.72	3872.58
საქონლის სხვა ხარჯები	2953.68	3659.69
ნომრებში ყავა, ჩაი, სნო, საპონი, შამპუნი, ლოსიონი, გელი, ჩუსტი	12021.46	
საკონფერენციო (coffee break)	2513.52	
თეთრეულის სამრეცხაოს ხარჯი	4083.69	
ვადაგასული და ექსპლოატაციისათვის უვარგისი პროდუცია	361.12	
შრომის ანაზღაურება (მატერიალური, ან არამატერიალური ფორმით გაცემული სარგებელი) - დაბეგრული	800.58	
დაქირავებულ თანამშრომელთა კვება - დაბეგრული	70491.87	

შპს „წყალტუბო პლაზა“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

დაქირავებულ თანამშრომელთა ავტომობილით მომსახურება (დამით სახლამდე)	7925	9120.44
დაქირავებულ თანამშრომელთათვის ფასდაკლებით მიწოდებული საქონელი ან მომსახურება - დაბეგრილი	7476.1	
საწარმოო პერსონალის დაზღვევის ხარჯები	18421.53	4705.17
საწარმოო ქონების დაზღვევა	8374.12	9282.16
მიღებული ყოველთვიური მომსახურებების ხარჯები	8963.63	5783.55
IT-ტექნიკური მომსახურება	13010.1	4440
HRS-ის ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურება (Fidelio, Materials Control, Micros)	37478.38	10336.83
ბუნებრივი აირის ხარჯი	36150.92	22669.15
ელექტრო ენერგიის ხარჯი	190380.67	139950.25
წყლისა და კანალიზაციის ხარჯი	24327.27	22173.78
ტელეფონისა და ინტერნეტის ხარჯები	18114.93	11903.63
საწვავის ხარჯები (საწარმოო დანიშნულების)	2719.32	532.01
საიჯარო ქირა (საწარმოო)	203.37	
საწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები	23192.76	9665.82
საწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯები	9987.11	3483.64
სხვა საერთო-საწარმოო ხარჯები	1525.14	8416.11
ხარჯები სასტუმრო მომსახურების მიწოდებისას	23969.08	11835.39
რეკლამის ხარჯები		3559.33
ყოველთვიური მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	9738	37521
საშუამავლო მომსახურების ხარჯები	15458.82	11213.17
booking.com	20083.64	25093.6
facebook	339.41	3429.36
პერსონალის დაზღვევის ხარჯები	3839.61	893.01
საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	13715.1	12536.57
tph.ge ჰოსტინგ, დომენ: tsqaltuboplaza.ge და tph.ge ყოველთვიური მომსახურება	627.06	594.96

შპს „წყალტუბო პლაზა“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური და ბუღალტრული მომსახურებები	26440.68	26440.68
საგადასახადო ხარჯები (ქონების გადასახადი, მიწა)	61279	
საბანკო ხარჯები	3315.1	12528.52
საბანკო ხარჯები კონვერტაციაზე	16644.37	3882.89
საბანკო ხარჯები ტერმინალით გადახდისას	10829.93	11406.79
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები	26764.9	4781.7
საერთო დანიშნულების ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯები	8730.45	2568.77
სასტუმრო ქონების შეფასება		6500
წარმომადგენლობითი ხარჯები		341.1
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები	41622.74	38272.47
	1309011	836109

3.13. კაპიტალის სხვა ცვლილებები:

კომპანიამ გაასწორა 2021 წელს აღრიცხვაში დაშვებული არაარსებითი მექანიკური შეცდომა - გამორჩენილი ხარჯი.

3.14. სასამართლო დავები:

კომპანიას 2022 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სახის სასამართლო დავები არ ჰქონდა.

3.15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2023 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2023 წლის 1 ოქტომბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს წყალტუბო პლაზა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	შენიშვნა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8260	20577	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	76354	63727	3.2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	2014	5822	
მარაგები	44641	37691	3.3
მზა პროდუქცია	0	0	
სხვა	44641	37691	
საინვესტიციო ქონება	0	0	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	7924	6580	
ბიოლოგიური აქტივები	0	0	
თვითღირებულების მოდელით	0	0	
გადაფასების მოდელით	0	0	
გუდვილი	0	0	
სხვა არამატერიალური აქტივები	48946	52089	3.4
ძირითადი საშუალებები	6301132	6389230	3.5
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	
სულ აქტივები	6489271	6575716	
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	
სავაჭრო ვალდებულებები	133393	80799	3.6
ანარიცხები	0	0	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	908	2873	
საგადასახადო ვალდებულებები	26612	39223	3.7
გამოუმუშავებელი შემოსავალი	15296	4686	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	4630843	5694811	3.8
მიღებული გრანტები	0	0	
სხვა ვალდებულებები	0	0	
სულ ვალდებულებები	4807052	5822392	
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპი	9130046	8042864	3.9
საემისიო შემოსავალი	0	0	
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-7447827	-7289540	
გადაფასების რეზერვი	0	0	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	
სულ საკუთარი კაპიტალი	1682219	753324	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6489271	6575716	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2023 წ.

დირექტორი _____

ირმა კალანდაძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

შპს წყალტუბო პლაზა

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	1973828	1741130
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	1973828	1741130
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1973828	1741130
სხვა საოპერაციო შემოსავალი	70142	354
დასაქმებულთა ანაზღაურება	-832115	-557148
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-337301	-315556
საპროცენტო შემოსავალი	708	472
საპროცენტო ხარჯი	-359529	-538426
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1309011	-836109
სულ საოპერაციო ხარჯები	-2767106	-2246413
საოპერაციო მოგება	-793278	-505283
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადა	694912	317251
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-59805	36027
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-158171	-152005
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-158171	-152005
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რევერზი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რევერზი)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-158171	-152005
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	753324	417167
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'სა	1087182	519011
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-116	-30849
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1682219	753324

შენიშვნა

3.10

3.11

3.12

3.13

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2023 წ.

დირექტორი

ირმა კალანდაძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

შპს წყალტუბო პლაზა

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკა	-45569	335595
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი	-326852	-65592
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადე	361068	-302590
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-11353	-32587
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-964	-199
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	20577	53363
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	8260	20577

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემებლად 01.10.2023 წ.

დირექტორი _____

ირმა კალანდაძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების გამყოფელი ნაწილი